



გო. ჯგ

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მის: ქ. თბილისი, სამარ. შვალის ქ. №15:

ასლი: სს „ენერგო-პრო ჯორჯია“-ს დასავლეთ ცენტრალური ფილიალის დირექტორს: ბატონ დავით მურადაშვილს

ქ. ონში, ბააზოვის ქ. №1-ში მდებარე (ყოფილი შსს-ს შენობა) ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთათვის 8-ბინიანი საცხოვრებელი სახლის გარე ელექტრომომარაგების აღდგენის შესახებ

თქვენი 2014 წლის 25 აპრილის განაცხადის (შემ. №2529342) პასუხად გაცნობებთ, რომ სს „ენერგო-პრო ჯორჯია“ არ არის წინააღმდეგი ქ. ონში, ბააზოვის ქ. №1-ში (ს/კ 88.18.27.021) მდებარე 8-ბინიანი საცხოვრებელი სახლის, მოთხოვნილი P-30 kW, ელექტრომომარაგება განხორციელდეს შემდეგი ტექნიკური პირობებითა და ელექტრული სქემით:

1. ობიექტის გარე ელექტრომომარაგება აღდგეს 110/35/10 kV ძაბვის ქს „ონი“-ს 10 kV ძაბვის სექციის სასახო უჯრედიდან გამავალი ე.გ.ხაზ-„ონი“-ზე განსტრეკბით მიერთებულა 10/0.4-400 kVA #316-003 სატრანსფორმატორო ქვესადგურის 0.4 kV ძაბვის გამსანაწილებელი მოწყობილობიდან;
2. #316-003 ს/ქ-ს 0.4 kV ძაბვის სექციაში გამოიყოს ან დაემატოს საკონტაქტო აპარატი/აპარატები, საიდანაც ობიექტის 0.4 kV ძაბვის შემყვან-გამსანაწილებელ მოწყობილობამდე აშენდეს ე.გ.ხაზი/ხაზები;
3. ასაშენებელი ე.გ.ხაზის/ხაზების სიგრძე, სადენის ტიპი, მარკა და კვეთი დაზუსტდეს პროექტირების დროს;
4. ხაზის ტრასა (მიწისქვეშა და მიწისზედა) შეთანხმდეს ყველა დაინტერესებულ მხარესთან.
5. მიმდებარე მაღალი ძაბვის ქსელი შემოწმდეს მოკლე შერთვისა და დატვირთვის დენებზე, საჭიროების შემთხვევაში ჩატარდეს სარეკონს ტრუქციონალდგენითი სამუშაოები;
6. მიმდებარე ქსელში გადაისინჯოს სარკელო დაცვის მოწყობის პრინციპები და მოხდეს დანაყენების ანგარიში;
7. ელექტროენერჯიის საკონტროლო აღრიცხვა მოეწყოს #316-003 სატრანსფორმატორო ქვესადგურში, ობიექტის მკვლავი ე.გ.ხაზის თავში (ადგილი დაზუსტდეს პროექტირების დროს), ამასთანავე:
 - 7.1. აღრიცხვისათვის გამოყენებულ იქნას აქტიური ელექტროენერჯის ცალმიმართულებიანი, 3-ელემენტის, სამფაზა, პირდაპირი მიერთების ელექტრონული მრიცხველი შემდეგი მასასიათებლებით: $U_{in}=220/380 V$; $I_n=5(60) A$; სიზუსტის კლასი არანაკლებ 1.0; მთლიანი მექანიზმი არანაკლებ 5 | ციფრი;

15 05 2014/01

- 7.2. მრიცხველი უნდა იყოს შეტანილი საქართველოში მოქმედ «გამზობი სელსაწყობის რეესტრში» და უნდა ჰქონდეს «საქართველოს სტანდარტების ტექნიკური რეგლამენტისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო»-ს ლუქები და დამოწმების მოწმობა.
 - 7.3. აღრიცხვის კვანძი მოწყობილი უნდა იყოს საქართველოში მოქმედი ყველა ნორმატიული აქტის გათვალისწინებით.
8. მოხდეს საცხოვრებელი ბინების, ლავტების, კომერციული ფართების და საერთო სარგებლობის ფართის ინდივიდუალური გამრიცხველიანება;
 9. სადარბაზოში პროექტის მიხედვით დაკომპლექტებული შემყვან-გამანაწილებელი კარადის/კარადების მონტაჟი.
 10. ავტომატური ამომრთველებით დაკომპლექტებული 0.4–0.23 kV ძაბვის განანაწილებელი კარადების (რომლებშიც დამონტაჟდება 0.4–0.23 kV ძაბვის ელექტროენერგიის მრიცხველები) მოწყობა;
 11. ობიექტის 0.4–0.23 kV ძაბვის შიდა ძაღოვანი ქსელის სრული მონტაჟი, განანაწილებელი კარადიდან ინდივიდუალურ მომხმარებელამდე.
 12. მომხმარებელთა საიმედო და უსაფრთხო ელექტრომომარაგების მიზნით, სს «ენერჯო-პრო ჯორჯიასთან» წინასწარ შეთანხმებული პროექტით განსაზღვრული სხვა აუცილებელი სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების შესრულება;
 13. არ იქნეს გადაჭარბებული მოთხოვნილი 30 kW სიმძლავრე (8 მოსახლე და სადარბაზო განათება);
 14. ყველა სამუშაო შესრულდეს დამკვეთის ხარჯზე.
 15. ობიექტის მფლობელი ვალდებულია მისი კუთვნილი ქსელის მოწყობისა და შემდგომი ექსპლუატაციისას დაიცვას «ელექტროდანადგარების მოწყობის წესები»-ს, «ელექტროენერგიის (სიმძლავრის) მიწოდებისა და მოხმარების წესები»-ს, «უსაფრთხოების ტექნიკის წესები ელექტროდანადგარების ექსპლუატაციისას»-ა და საქართველოში მოქმედი სხვა ნორმატიული აქტების მოთხოვნები.

~~ზდენეკ ვესეკი~~
 განვითარების მენეჯერი

შემსრულებელი ნათია ჭუნაშვილი
 ტელ.: +(995)577350515